

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ქვეკონტრაქტორის გამოყენება

(პრაქტიკული კომენტარები)

თბილისი

2026

სარჩევი

ქვეკონტრაქტორის სტატუსი და მისი გამოყენების პირობები სახელმწიფო შესყიდვებში....1

სატენდერო განცხადება და სატენდერო პირობების ჩამოყალიბება....1

ქვეკონტრაქტორისათვის გადასაცემი ვალდებულების განაწილება....3

ქვეკონტრაქტორის შეფასების წესი....5

შერჩევა-შეფასების ეტაპი....6

გამოცდილების მოთხოვნისა და ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გამიჯვნა....9

ქვეკონტრაქტორის შესახებ წარდგენილი ინფორმაციის დაზუსტება....9

ძირითადი ეკონომიკური ოპერატორის პასუხისმგებლობა ქვეკონტრაქტორის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე....10

ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურება....11

ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე ვალდებულების შესასრულებლად ჩართული ქვეკონტრაქტორის შეცვლა/დამატება....12

შესრულებული ვალდებულების გამოყენება....13

ქვეკონტრაქტორის სტატუსი და მისი გამოყენების პირობები სახელმწიფო შესყიდვებში

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონის) მიხედვით, ქვეკონტრაქტორი არის პირი, რომელსაც ძირითადი ეკონომიკური ოპერატორი (მიმწოდებელი), კანონით დადგენილი წესით, შესასრულებლად გადასცემს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილს. ქვეკონტრაქტორი უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით სისტემაში რეგისტრირებული ეკონომიკური ოპერატორი.

ძირითადი ეკონომიკური ოპერატორი, ქვეკონტრაქტორის გამოყენებისას, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას:

- თუ ქვეკონტრაქტორი (ინდივიდუალურად) ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ისეთ ნაწილს, რომლის მოცულობაც შეადგენს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს მაინც, ან თუ სატენდერო დოკუმენტაციით შემსყიდველ ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების კონკრეტული/მნიშვნელოვანი ნაწილი და აღნიშნული ნაწილის შესრულება მიმწოდებელს ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებლად აქვს გათვალისწინებული. ქვეკონტრაქტორის ჩართულობის შეფასებისას გასათვალისწინებელია, როგორც მის მიერ შესასრულებელი სამუშაოების/ვალდებულებების მოცულობა, ისე მისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების გამოყენება. კერძოდ, კანონმდებლობით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულება უკავშირდება ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესაბამის პროცენტულ ზღვარს, 10%-ს, ხოლო შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულია კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე დაყრდნობის 60%-იანი ზღვარი.

სატენდერო განცხადება და სატენდერო პირობების ჩამოყალიბება

ქვეკონტრაქტორის გამოყენების საკითხის მოწესრიგებისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელსაც სატენდერო პირობების განსაზღვრის ეტაპზე გააჩნია უფლებამოსილება, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით დაადგინოს ის მოთხოვნები და პირობები, რომელთა დაკმაყოფილებაც უშუალოდ ქვეკონტრაქტორს მოეთხოვება. ამგვარი უფლებამოსილება გამომდინარეობს იმ საჭიროებიდან, რომ ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად შემსყიდველ ორგანიზაციას ჰქონდეს შესაძლებლობა, წინასწარ განსაზღვროს როგორც ქვეკონტრაქტორის ჩართულობის დასაშვები ფარგლები, ისე ის მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ქვეკონტრაქტორის მიერ.

შემსყიდველ ორგანიზაციას ასევე შეუძლია სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვროს კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც მხოლოდ

ძირითად ეკონომიკურ ოპერატორს (მიმწოდებელს) უნდა დაეკისროს. ამგვარი შეზღუდვა ემსახურება იმ ვალდებულებების ძირითადი მიმწოდებლის მიერ უშუალოდ შესრულების უზრუნველყოფას, რომელთა სათანადო შესრულებასაც კონკრეტული შესყიდვის მიზნებიდან, საგნის ბუნებიდან ან სხვა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამასთან, კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ვალდებულებების განსაზღვრისას შემსყიდველი ორგანიზაციის დისკრეცია არ არის შეუზღუდავი. კერძოდ, ასეთი ვალდებულებების კრიტიკულობის განსაზღვრა და მათი ძირითადი ეკონომიკური ოპერატორის მიერ უშუალოდ შესრულების მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის ობიექტურ გარემოებებს და სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული სატენდერო დოკუმენტაციაში.

საგულისხმოა, რომ სატენდერო დოკუმენტაციით შესაძლებელია განისაზღვროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კონკრეტული ან მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის ქვეკონტრაქტორისათვის გადაცემაც დასაშვებია. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციის ინფორმირება ქვეკონტრაქტორის გამოყენების შესახებ წარმოადგენს შესაბამისი სამართლებრივი მოდელის აუცილებელ ელემენტს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სატენდერო დოკუმენტაციით უნდა განისაზღვროს, როგორც ქვეკონტრაქტორის შეცვლისა და დამატების დამატებითი წინაპირობები, ისე აღნიშნულ საკითხზე შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმების პროცედურა, მათ შორის, შეთანხმების ვადა და ფორმა. ქვეკონტრაქტორის გამოყენებასთან დაკავშირებული სატენდერო პირობების განსაზღვრისას შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს:

- ქვეკონტრაქტორის მიმართ დასადგენი კონკრეტული მოთხოვნები;
- კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ვალდებულებების განსაზღვრა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ძირითადი ეკონომიკური ოპერატორის მიერ უშუალოდ შესრულების მოთხოვნა;
- ქვეკონტრაქტორისთვის გადასაცემი ვალდებულებების ფარგლების განსაზღვრა;
- ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე ქვეკონტრაქტორის შეცვლისა და დამატების პროცედურის განსაზღვრა;
- აღნიშნული პირობების წინასწარ და მკაფიოდ ასახვა სატენდერო დოკუმენტაციაში.

ქვეკონტრაქტორის გამოყენებისას მიმწოდებლის მიერ წარსადგენი ინფორმაცია და დოკუმენტაცია

ინფორმაცია / დოკუმენტი	წარდგენის ეტაპი	სტატუსი
ქვეკონტრაქტორის შესახებ ინფორმაცია	სატენდერო/საკონკურსო წინადადების წარდგენის ეტაპი	აუცილებელი
ქვეკონტრაქტორის სახელწოდება და შესაბამისი საიდენტიფიკაციო/რეკვიზიტები	სატენდერო/საკონკურსოწინადადების წარდგენის ეტაპი	აუცილებელი

ინფორმაცია / დოკუმენტი	წარდგენის ეტაპი	სტატუსი
ქვეკონტრაქტორისთვის გადასაცემი ვალდებულების/სამუშაოს ან მომსახურების აღწერა	სატენდერო/საკონკურსოწინადადების წარდგენის ეტაპი	აუცილებელი
აფიდავიტის პირობებზე თანხმობა	სატენდერო/საკონკურსოწინადადების წარდგენის ეტაპი	აუცილებელი
ქვეკონტრაქტორისთვის გადასაცემი ვალდებულების პროცენტული მაჩვენებელი ხელშეკრულების საერთო ღირებულებასთან მიმართებით	სატენდერო/საკონკურსოწინადადების წარდგენის ეტაპი	აუცილებელი
ქვეკონტრაქტორის შესახებ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული სავალდებულო ინფორმაცია და დოკუმენტები	სატენდერო/საკონკურსო წინადადების წარდგენის ეტაპი	მოთხოვნის შემთხვევაში
ქვეკონტრაქტორის კვალიფიკაციისა და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები	სატენდერო/საკონკურსო წინადადების წარდგენის ეტაპი	თუ მიმწოდებელი ეყრდნობა ქვეკონტრაქტორის გამოცდილებას
ქვეკონტრაქტორის პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები	სატენდერო/საკონკურსო წინადადების წარდგენის ეტაპი	თუ მიმწოდებელი ეყრდნობა ქვეკონტრაქტორის პერსონალის რესურსს

შენიშვნა: კონკრეტული დოკუმენტების ჩამონათვალი საბოლოოდ განისაზღვრება შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით, მათ შორის, ქვეკონტრაქტორის მიმართ უშუალოდ დადგენილი მოთხოვნებით. აგრეთვე, მოცემული მეთოდური მითითებები ვრცელდება კონკურსის შემთხვევაშიც. ამასთან, სისტემურად მოწმდება ქვეკონტრაქტორის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის საფუძვლების არსებობა.

ქვეკონტრაქტორისათვის გადასაცემი ვალდებულების განაწილება

მოქმედი რეგულაციებით ქვეკონტრაქტორისათვის გადასაცემი ვალდებულებების ორი ურთიერთგანსხვავებული სამართლებრივი შემთხვევა შეიძლება არსებობდეს. აღნიშნული შემთხვევების მთავარ განმასხვავებელ ფაქტორს წარმოადგენს:

- ეყრდნობა თუ არა ეკონომიკური ოპერატორი ქვეკონტრაქტორის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას;
- ეყრდნობა თუ არა ეკონომიკური ოპერატორი ქვეკონტრაქტორის პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას.

1. თუ, ეკონომიკური ოპერატორი თავად აკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადგენილ გამოცდილების მოთხოვნებს და ქვეკონტრაქტორის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას ან/და მისი პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას საკვალიფიკაციო

მოთხოვნების დასადასტურებლად არ იყენებს, პრეტენდენტს უფლება აქვს, აღნიშნული ვალდებულება სრულად, ანუ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 100%-ის ფარგლებში, ქვეკონტრაქტორს გადასცეს შესასრულებლად, თუ სატენდერო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას არ აქვს უფლებამოსილება შეზღუდოს ეკონომიკური ოპერატორის (მიმწოდებლის) მიერ ქვეკონტრაქტორის გამოყენების შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულია კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ვალდებულებების მხოლოდ ძირითადი ეკონომიკური ოპერატორის (მიმწოდებლის) მიერ შესრულების ვალდებულება.

2. ეკონომიკური ოპერატორის მიერ ქვეკონტრაქტორის გამოყენების მეორე შემთხვევა მოქმედი რეგულაციით დგება მაშინ, როდესაც ეკონომიკური ოპერატორი იყენებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ შესაძლებლობას და საკუთარი გამოცდილების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ეყრდნობა ქვეკონტრაქტორის გამოცდილებას, აგრეთვე მისი პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას. ქვეკონტრაქტორმა ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში ფაქტობრივად უნდა შეასრულოს სწორედ ის სამუშაო ან/და გასწიოს სწორედ ის მომსახურება, რომლის შესასრულებლადაც ან გასაწევადაც გამოიყენება მისი შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

ამასთან, აღნიშნული მოდელის შემთხვევაში ქვეკონტრაქტორისათვის გადასაცემი სამუშაოს ან/და მომსახურების საერთო მოცულობა შეზღუდულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულების (ხელშეკრულების საერთო ღირებულების) 60%-ით. შესაბამისად, ეკონომიკური ოპერატორის მიერ ქვეკონტრაქტორის გამოცდილებასა და კვალიფიკაციაზე დაყრდნობა დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ქვეკონტრაქტორი თავად ასრულებს შესაბამის სამუშაოს ან/და გასწევს მომსახურებას და ამ ვალდებულების ღირებულება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 60%-ს არ აღემატება.

მაგალითად, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1 000 000 ლარს, იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური ოპერატორი ქვეკონტრაქტორის გამოცდილებასა და კვალიფიკაციას ეყრდნობა, ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი შესაბამისი სამუშაოს ან/და გასაწევი მომსახურების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 600 000 ლარს.

ამავე ლოგიკით უნდა შეფასდეს პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე დაყრდნობის შემთხვევაც. თუ სატენდერო დოკუმენტაციით, მაგალითად, **მოთხოვნილია 5 შესაბამისი სპეციალისტის არსებობა** და ეკონომიკური ოპერატორი თავად აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას **3 სპეციალისტით,** ხოლო **დანარჩენი 2 სპეციალისტის** კვალიფიკაციასა და გამოცდილებას ქვეკონტრაქტორის რესურსით ადასტურებს, ასეთი მოდელი დასაშვებია იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორის პერსონალის ჩართულობა დაკავშირებულია სწორედ იმ სამუშაოს ან/და მომსახურების შესრულებასთან, რომლისთვისაც მათი კვალიფიკაცია და გამოცდილება გამოიყენება და დაცულია კანონმდებლობით დადგენილი

ქვეკონტრაქტორების გამოყენების საერთო ზღვარი.[1] ამასთან, აღნიშნული ზღვრის შეფასებისას მხედველობაში მიიღება **მოთხოვნილი სპეციალისტების მთლიანი რაოდენობა** — მოცემულ მაგალითში ქვეკონტრაქტორის რესურსით დასადასტურებელი **2 სპეციალისტი შეადგენს მოთხოვნილი 5 სპეციალისტის 40 პროცენტს**, რაც 60 პროცენტზე ნაკლებია.

ამასთან, ქვეკონტრაქტორის პერსონალის მონაწილეობა არ შეიძლება ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი ვალდებულებისაგან იზოლირებულად იქნეს განხილული. ქვეკონტრაქტორის პერსონალი უნდა იყოს ჩართული იმ სამუშაოს ან/და მომსახურების შესრულებაში, რომელიც ხელშეკრულების შესაბამისად თავად ქვეკონტრაქტორს აქვს აღებული შესასრულებლად. შესაბამისად, პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს ქვეკონტრაქტორის მიერ ფაქტობრივად შესასრულებელი ვალდებულების შინაარსსა და მოცულობას. ასევე, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგულაციიდან არ გამომდინარეობს ქვეკონტრაქტორთა რაოდენობის რაიმე ზოგადი, წინასწარ განსაზღვრული ლიმიტი.

ქვეკონტრაქტორის შეფასების წესი

პრეტენდენტი ქვეკონტრაქტორის შესახებ ინფორმაციასა და შესაბამის დოკუმენტაციას წარადგენს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად. შესაბამისად, ქვეკონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შეფასება ხორციელდება ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ქვეკონტრაქტორის გამოყენებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერესთა კონფლიქტის საკითხს. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ შესაბამისი დოკუმენტის წარდგენა და მისი შედგენა ხორციელდება იმავე სამართლებრივი რეჟიმის ფარგლებში, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე შესაბამისი პირების მიმართ არის დადგენილი.[2] ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობისას პრეტენდენტისა და, არსებობის შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორის ვინაობა შესაძლოა საჯარო გახდეს ეტაპობრივად. ასეთ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილის წარდგენა უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად, თითოეულ პრეტენდენტთან და, არსებობის შემთხვევაში, თითოეულ ქვეკონტრაქტორთან მიმართებით, მათი ვინაობის განსაჯაროების

---

[1] შენიშვნა: პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე დაყრდნობა უნდა იყოს დაკავშირებული ქვეკონტრაქტორის მიერ ფაქტობრივად შესასრულებელ სამუშაოს/გასაწევ მომსახურებასთან, ხოლო 60% პირდაპირ სახელშეკრულებო ვალდებულების მოცულობას უკავშირდება. ეს განსხვავება ნორმის ინტერპრეტაციისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

[2] თუ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტი და, არსებობის შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორი წარმოადგენს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემსყიდველ ორგანიზაციას, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირსა და პრეტენდენტს ან/და ქვეკონტრაქტორს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა.
ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულ ფიზიკურ პირსა და პრეტენდენტს ან/და ქვეკონტრაქტორს შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ურთიერთობა, გარდა ამავე ნაწილის „გ“–„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ურთიერთობებისა. შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის შეფასებისას კანონმდებლობა ეფუძნება არა მხოლოდ პრეტენდენტსა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღებ ან პროცესში მონაწილე პირს შორის პირდაპირ ურთიერთობას, არამედ, შესაბამის შემთხვევაში, ამ შეფასების ფარგლებში ქვეკონტრაქტორსაც მოიაზრებს.

შემდგომ. კერძოდ, შესაბამისი ხელწერილი სისტემაში იტვირთება სატენდერო კომისიის იმ პირველი სხდომის ოქმთან ერთად, რომელიც მათი ვინაობის განსაჯაროების შემდეგ იტვირთება სისტემაში. ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის დადასტურების საკითხი აქტუალურია, აგრეთვე, ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე. კერძოდ, ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე უფლებამოსილი ფიზიკური პირის მიერ ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილი სისტემაში იტვირთება ხელშეკრულების შესრულების ან შეუსრულებლობის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.

ამასთან, კანონმდებლობა თავიდან იცილებს ერთი და იმავე პირის მიერ ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის განმეორებით დადასტურების აუცილებლობას. კერძოდ, ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელ ფიზიკურ პირს არ ეკისრება ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის დამატებით დადასტურების ვალდებულება, თუ იგივე გარემოება მას უკვე დადასტურებული აქვს, როგორც სატენდერო კომისიის ან სატენდერო კომისიის აპარატის წევრს, ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობისას იმავე მიმწოდებელთან, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, შესაბამის ქვეკონტრაქტორთან, მიმართებით.

პრეტენდენტი სატენდერო წინადადების წარდგენის ეტაპზე დაეთანხმება აფიდავიტის პირობებს, სადაც სხვა გარემოებებთან ერთად განსაზღვრულია, რომ „ქვეკონტრაქტორის/ქვეკონტრაქტორების შესახებ წარდგენილია ან/და ხელშეკრულების შესრულების პროცესში წარდგენილი იქნება კანონით, მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ან/და სატენდერო პირობებით განსაზღვრული სავალდებულოდ წარსადგენი ინფორმაცია“. ამის შემდგომ იგი სისტემაში მიუთითებს ინფორმაციას ქვეკონტრაქტორ(ებ)ის შესახებ (არსებობის შემთხვევაში). ქვეკონტრაქტორებთან დაკავშირებული ინფორმაციის წარუდგენლობის ან/და არასწორი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში აღნიშნული ჩაითვლება აფიდავიტის პირობების დარღვევად და პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით.

შერჩევა-შეფასების ეტაპი

ქვეკონტრაქტორი, ისევე როგორც პრეტენდენტი, ფასდება პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადებისა და მასში წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, თუმცა შეფასების ფარგლები და კრიტერიუმები განსხვავებულია იმის მიხედვით, ეყრდნობა თუ არა ეკონომიკური ოპერატორი ქვეკონტრაქტორის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას ან/და მისი პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური ოპერატორი საკუთარი კვალიფიკაციის ან/და გამოცდილების დასადასტურებლად არ ეყრდნობა ქვეკონტრაქტორის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას ან/და მისი პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას, ქვეკონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შეფასება არ

ხორციელდება იმავე მოცულობითა და იმავე კრიტერიუმებით, რომლითაც ფასდება ეკონომიკური ოპერატორის შესაბამისობა სატენდერო პირობებთან. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ქვეკონტრაქტორის მიმართ შეფასება უნდა განხორციელდეს იმ მოთხოვნებთან მიმართებით, რომლებიც უშუალოდ ქვეკონტრაქტორისათვის არის დადგენილი სატენდერო დოკუმენტაციით. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში შეფასების საგანია, ერთი მხრივ, ქვეკონტრაქტორის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის საფუძვლების არსებობა და, მეორე მხრივ, მის მიმართ სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილება, მათი არსებობის შემთხვევაში.

განსხვავებული სამართლებრივი მოდელი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური ოპერატორი საკუთარი გამოცდილების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ეყრდნობა ქვეკონტრაქტორის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას ან/და მისი პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას. ამის შემდგომ ფასდება ქვეკონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესაბამისობა იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომლებიც თავად ეკონომიკური ოპერატორის მიმართ არის დადგენილი. თუმცა, აღნიშნული შეფასება არ გულისხმობს იმას, რომ ქვეკონტრაქტორმა დამოუკიდებლად უნდა დააკმაყოფილოს ეკონომიკური ოპერატორის მიმართ დადგენილი თითოეული საკვალიფიკაციო მოთხოვნა სრული მოცულობით. შეფასება ხორციელდება იმ სამუშაოს ან/და მომსახურების იმ ნაწილის გათვალისწინებით (პროპორციულად), რომლის შესასრულებლადაც ეკონომიკური ოპერატორი ეყრდნობა ქვეკონტრაქტორის შესაბამის რესურსს. ამასთან, ქვეკონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია უნდა შეფასდეს იმ მოთხოვნებთან მიმართებითაც, რომლებიც უშუალოდ ქვეკონტრაქტორისათვის არის განსაზღვრული სატენდერო დოკუმენტაციით ან სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი პირობებით, მათი არსებობის შემთხვევაში.

საკითხი	ქვეკონტრაქტორის საკვალიფიკაციო რესურსზე დაყრდნობა	ქვეკონტრაქტორის საკვალიფიკაციო რესურსზე დაუყრდნობლობა
რას ეყრდნობა ეკონომიკური ოპერატორი	ქვეკონტრაქტორის ან მისი პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას	ეკონომიკური ოპერატორი ეყრდნობა საკუთარ კვალიფიკაციასა და გამოცდილებას
რა ფასდება	ქვეკონტრაქტორის შესაბამისი რესურსის რეალური და ფუნქციური კავშირი შესასრულებელ სამუშაოსთან/მომსახურებასთან	ქვეკონტრაქტორის მიერ ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოს/მომსახურების შესაბამისობა დადგენილ პირობებთან
პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება	უნდა იყოს დაკავშირებული იმ სამუშაოს/მომსახურების შესრულებასთან, რომლისთვისაც ეკონომიკური ოპერატორი მას ეყრდნობა	ქვეკონტრაქტორის პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება არ გამოიყენება ეკონომიკური ოპერატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად
ძირითადი საკითხი	ფორმალურ შესაბამისობასთან ერთად უნდა არსებობდეს რეალური კავშირი	მნიშვნელოვანია ქვეკონტრაქტორისთვის გადასაცემი

საკითხი	ქვეკონტრაქტორის საკვალიფიკაციო რესურსზე დაყრდნობა	ქვეკონტრაქტორის საკვალიფიკაციო რესურსზე დაუყრდნობლობა
	გამოყენებულ რესურსსა და შესასრულებელ ვალდებულებას შორის	ვალდებულების შინაარსი და ფარგლები
პრაქტიკული შედეგი	ქვეკონტრაქტორის რესურსი მონაწილეობს ეკონომიკური ოპერატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებაში	ქვეკონტრაქტორი ასრულებს მისთვის გადაცემულ ვალდებულებას, თუმცა მისი რესურსი არ გამოიყენება საკვალიფიკაციო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად

მაგალითი I - თუ სატენდერო დოკუმენტაციით ეკონომიკური ოპერატორის მიმართ დადგენილია მოთხოვნა, რომ მას ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 000 000 ლარის ღირებულების შესაბამისი სამუშაოები, ხოლო ეკონომიკურ ოპერატორს საკუთარი სახელით მხოლოდ 400 000 ლარის შესაბამისი გამოცდილება აქვს და დამატებით ეყრდნობა ქვეკონტრაქტორის გამოცდილებას, რომელსაც შესრულებული აქვს 1 000 000 ლარის ღირებულების შესაბამისი სამუშაოები, ქვეკონტრაქტორის გამოცდილების შეფასება არ უნდა განხორციელდეს იმგვარად, თითქოს მას დამოუკიდებლად უნდა დაეკმაყოფილებინა ეკონომიკური ოპერატორისთვის დადგენილი 1 000 000 ლარის მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში მისი გამოცდილება უნდა შემოწმდეს იმ სამუშაოს ნაწილის პროპორციულად, რომლის შესრულებისთვისაც ეკონომიკური ოპერატორი კონკრეტულად ქვეკონტრაქტორის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას ეყრდნობა.

მაგალითი II - თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1 000 000 ლარს და ქვეკონტრაქტორს ფაქტობრივად გადაეცემა 600 000 ლარის ღირებულების შესაბამისი სამუშაოების შესრულება, პროპორციული შემოწმება გულისხმობს იმის დადგენას, რამდენად ადასტურებს ქვეკონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი 1 000 000 ლარის გამოცდილება სწორედ აღნიშნული 600 000 ლარის სამუშაოს შესრულების უნარს. შესაბამისად, ქვეკონტრაქტორის გამოცდილების შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მხოლოდ გამოცდილების მთლიან თანხობრივ მოცულობაზე, არამედ იმის პროპორციულად შეფასებაზეც, რამდენად შეესაბამება აღნიშნული გამოცდილება ქვეკონტრაქტორისთვის რეალურად გადასაცემი სამუშაოს სახეობას, ღირებულებასა და სირთულეს.

თუ, მაგალითად, სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტს მოეთხოვება 1 000 000 ლარის ღირებულების შესაბამისი სამუშაოების შესრულების გამოცდილება და შემსყიდველ ორგანიზაციას კონკრეტულად გვირაბის სამუშაოების გამოცდილება ცალკე მოთხოვნად არ აქვს განსაზღვრული, ქვეკონტრაქტორის მიერ გვირაბის სამუშაოების შესრულება თავისთავად არ წარმოშობს ვალდებულებას, რომ მან დამატებით სწორედ გვირაბის სამუშაოების გამოცდილება დაადასტუროს. ქვეკონტრაქტორის მიმართ საკვალიფიკაციო რესურსის შეფასება უნდა განხორციელდეს იმ მოთხოვნის ფარგლებში, რომელსაც ეკონომიკური ოპერატორი ეყრდნობა და არა ისეთი უფრო კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც სატენდერო პირობებით არ ყოფილა დადგენილი.

გამოცდილების მოთხოვნისა და ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გამიჯვნა

მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს გამოცდილების მოთხოვნის ოდენობა და ქვეკონტრაქტორის მიერ კონკრეტულ ხელშეკრულებაში შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება. მაგალითად, თუ სატენდერო დოკუმენტაციით ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების სახით განსაზღვრული გამოცდილების მოთხოვნა შეადგენს 5 000 000 ლარს, აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს ეკონომიკური ოპერატორის საკვალიფიკაციო შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმს და, თავისთავად, არ ნიშნავს იმას, რომ ქვეკონტრაქტორმა კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში აუცილებლად 5 000 000 ლარის ღირებულების სამუშაო უნდა შეასრულოს. თუ კანონმდებლობა ეკონომიკურ ოპერატორს საკუთარი გამოცდილების შესაბამისობის დასადასტურებლად ქვეკონტრაქტორის გამოცდილებაზე დაყრდნობის უფლებას აძლევს, მოთხოვნილი გამოცდილება შეიძლება დადასტურდეს პრეტენდენტისა და იმ ქვეკონტრაქტორის შესაბამისი რესურსების გათვალისწინებით, რომლის შესაძლებლობაზეც ეკონომიკური ოპერატორი კანონიერად ეყრდნობა. შესაბამისად, 5 000 000 ლარის ოდენობის გამოცდილების მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია როგორც მხოლოდ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი გამოცდილებით, ისე კანონმდებლობით დასაშვებ ფარგლებში (მაქსიმუმ 60%) პრეტენდენტისა და შესაბამისი ქვეკონტრაქტორის გამოცდილების ერთობლივი გათვალისწინებით. ამასთან, ქვეკონტრაქტორს არ მოეთხოვება, რომ დამოუკიდებლად და სრული მოცულობით აკმაყოფილებდეს იმავე 5 000 000 ლარის ოდენობის გამოცდილების მოთხოვნას, თუ ასეთი მოთხოვნა სატენდერო დოკუმენტაციით უშუალოდ ქვეკონტრაქტორის მიმართ არ არის დადგენილი.

შესაბამისად, გამოცდილების მოთხოვნის შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს:

- მოთხოვნის რაოდენობრივ მაჩვენებელზე;
- რა რესურსს წარმოადგენს კონკრეტული გამოცდილება და ვის ეკუთვნის იგი;
- რომელ სამუშაოს ან/და მომსახურებას უკავშირდება და რა ფარგლებში ეყრდნობა მას ეკონომიკური ოპერატორი.

შერჩევა-შეფასების ეტაპზე ქვეკონტრაქტორი, ისევე როგორც პრეტენდენტი, ფასდება პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადების მიხედვით.

ქვეკონტრაქტორის შესახებ წარდგენილი ინფორმაციის დაზუსტება

სატენდერო კომისია თუ დაადგენს, რომ პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების ფარგლებში ქვეკონტრაქტორის შესახებ წარდგენილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებით დადგენილ მოთხოვნებს, სატენდერო კომისია ვალდებულია პრეტენდენტს მიმართოს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით. ქვეკონტრაქტორის შესახებ ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტს გააჩნია რამდენიმე ალტერნატიული შესაძლებლობა.

კერძოდ, მას შეუძლია წარადგინოს თავდაპირველად წარმოდგენილი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის დაზუსტებული ვერსია ან წარადგინოს ახალი ქვეკონტრაქტორი, რომელიც დააკმაყოფილებს შესაბამის სატენდერო მოთხოვნებს, ან, იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეკონტრაქტორის გამოყენების საჭიროება აღარ არსებობს, უარი თქვას შერჩევა-შეფასების ეტაპზე ქვეკონტრაქტორის წარდგენაზე. თუ დაზუსტების შედეგად წარმოდგენილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია კვლავ არ შეესაბამება სატენდერო პირობებს, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შეუსაბამობის საფუძვლით.

საგულისხმოა, რომ თუ წინადადების წარდგენის ეტაპზე პრეტენდენტი არ განაცხადებს, რომ ქვეკონტრაქტორის გამოყენებას აპირებს და არ წამოადგენს ინფორმაციას/დოკუმენტაციას მის შესახებ, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების ეტაპზე მას არ შეუძლია წარმოადგინოს ქვეკონტრაქტორი. მოქმედი რეგულაციებით პრეტენდენტს მხოლოდ ქვეკონტრაქტორის შეცვლის ან მასზე უარის თქმის უფლება აქვს. აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ქვეკონტრაქტორის შესახებ ინფორმაციას წარმოადგენს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად და არ მიუთითებს სისტემურად, ან პირიქით, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია იმსჯელოს დაზუსტების შესაძლებლობაზე და დააზუსტებინოს პრეტენდენტს წარმოდგენილი ინფორმაცია.

განსხვავებული სამართლებრივი მიდგომა მოქმედებს ქვეკონტრაქტორის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების შეფასებისას. თუ პრეტენდენტის მიერ ქვეკონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი სარეგისტრაციო ან/და უფლებრივი მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო პირობებით დადგენილ მოთხოვნებს, აღნიშნული ინფორმაცია არ ექვემდებარება დაზუსტებას. ასეთ შემთხვევაში პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას ქვეკონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების სატენდერო პირობებთან შეუსაბამობის გამო.

ძირითადი ეკონომიკური ოპერატორის პასუხისმგებლობა ქვეკონტრაქტორის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე

ქვეკონტრაქტორის გამოყენების შემთხვევაში მნიშვნელოვანია განვასხვავოთ სახელშეკრულებო ურთიერთობის შიდა და გარე ასპექტები. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული სამუშაოს ან/და მომსახურების შესრულება შესაძლოა ქვეკონტრაქტორს ჰქონდეს გადაცემული, ეს გარემოება ძირითად ეკონომიკურ ოპერატორს არ ათავისუფლებს შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობისაგან. ქვეკონტრაქტორი შეიძლება მონაწილეობდეს ხელშეკრულების ფაქტობრივ შესრულებაში, თუმცა შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე ხელშეკრულების სათანადო შესრულების საბოლოო პასუხისმგებლობა რჩება ძირითად ეკონომიკურ ოპერატორს (მიმწოდებელს).

საგულისხმოა, რომ მარეგულირებელი კანონმდებლობა ქვეკონტრაქტორის გამოყენების საკითხს არ შემოფარგლავს მხოლოდ სატენდერო პროცედურის ეტაპით და შესაბამისი

ინფორმაციის ასახვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებულ ხელშეკრულებაშიც მოითხოვს. კერძოდ, თუ შესყიდვის ფარგლებში ქვეკონტრაქტორის გამოყენება არის გათვალისწინებული, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შესაბამის ინფორმაციას ქვეკონტრაქტორ(ებ)ის შესახებ, მათ შორის, ქვეკონტრაქტორის სახელწოდებასა და მის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების მოცულობას, ხელშეკრულების საერთო ღირებულების პროცენტულ მაჩვენებელს (ოდენობას) ან/და კონკრეტულ/მნიშვნელოვან ნაწილს, როდესაც ასეთი ნაწილი შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო დოკუმენტაციით აქვს განსაზღვრული. შესაბამისად, ქვეკონტრაქტორის შესახებ ინფორმაცია ხელშეკრულების განუყოფელ შინაარსობრივ ნაწილად გვევლინება და მისი განსაზღვრა მხოლოდ ხელშეკრულების შესრულების შემდგომ ეტაპზე არ უნდა მოხდეს.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულება სისტემაში ატვირთოს მისი დადებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. ამასთან, ხელშეკრულების ატვირთვასთან ერთად, შესაბამის ველში, არსებობის შემთხვევაში, მიეთითება ქვეკონტრაქტორის რეკვიზიტები და მის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების პროცენტული მაჩვენებელი (ოდენობა) და/ან კონკრეტული/მნიშვნელოვანი ნაწილი, თუ ასეთი ნაწილი სატენდერო დოკუმენტაციით არის განსაზღვრული.

ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურება

ქვეკონტრაქტორის გამოყენების სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელოვანი ელემენტია არა მხოლოდ მისი ხელშეკრულებაში ფორმალურად ასახვა, არამედ მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული ვალდებულების დოკუმენტური დადასტურებაც. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვის ობიექტს იღებს შესაბამისი დოკუმენტის გაფორმების საფუძველზე. შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე შესაძლებელია საჭირო გახდეს ქვეკონტრაქტორის მიერ განხორციელებული სამუშაოს ან/და გაწეული მომსახურების მოცულობის დადასტურება შესაბამისი დოკუმენტაციით. მიმწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორის გამოყენების შემთხვევაში იგი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს ქვეკონტრაქტორის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტობრივად შესრულებული ვალდებულებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაციით უნდა დასტურდებოდეს ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული ვალდებულების პროცენტული მაჩვენებელი, ხელშეკრულების საერთო ღირებულებასთან მიმართებით ან/და კონკრეტული/მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულება, როდესაც ასეთი ნაწილი სატენდერო დოკუმენტაციით არის განსაზღვრული. ასეთი დადასტურება შეიძლება განხორციელდეს კანონმდებლობით დაშვებული დოკუმენტებით, მათ შორის, მიღება-ჩაბარების აქტით, ანგარიშ-ფაქტურით და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემთხვევას, როდესაც ქვეკონტრაქტორის მიერ საბოლოოდ შესრულებული ვალდებულების მოცულობა აღემატება ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებელს ხელშეკრულების საერთო ღირებულებასთან

მიმართებით ან/და მისთვის გადასაცემად განსაზღვრულ კონკრეტულ/მნიშვნელოვან ნაწილს. ასეთ შემთხვევაში ქვეკონტრაქტორის მიერ ფაქტობრივად შესრულებული ვალდებულების მოცულობა სცდება იმ ფარგლებს, რომლებიც წინასწარ იყო განსაზღვრული სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ხელშეკრულებით. კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, ქვეკონტრაქტორისათვის განსაზღვრული ვალდებულების ფარგლების ასეთი გადაჭარბება განიხილება არაჯეროვან შესრულებად და, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, წარმოადგენს მიმწოდებლის „შავ სიაში“ რეგისტრაციის საფუძველს. ამასთან, აღნიშნული სამართლებრივი შედეგის საფუძველი არის არა თავად ქვეკონტრაქტორის გამოყენება, არამედ ქვეკონტრაქტორისათვის წინასწარ განსაზღვრული სახელშეკრულებო ფარგლების გადაჭარბება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ძირითადი ეკონომიკური ოპერატორი (მიმწოდებელი) ასრულებს შეთანხმებულზე ნაკლებ ვალდებულებას.

ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე ვალდებულების შესასრულებლად ჩართული ქვეკონტრაქტორის შეცვლა/დამატება

ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე ქვეკონტრაქტორის შეცვლა ან/და ახალი ქვეკონტრაქტორის დამატება წარმოადგენს კანონმდებლობითა და სატენდერო პირობებით განსაზღვრულ პროცედურას და არ შეიძლება განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ ცალმხრივად. კერძოდ, ხელშეკრულების შესრულების პროცესში უკვე შეთანხმებული ქვეკონტრაქტორის შეცვლა ან/და დამატებითი ქვეკონტრაქტორის ჩართვა დასაშვებია მხოლოდ შემსყიდველ ორგანიზაციასთან წინასწარი შეთანხმებისა და მის მიერ წერილობითი თანხმობის გაცემის შემთხვევაში. ამასთან, აღნიშნული თანხმობის მიღების წესი, ფორმა და ვადა განისაზღვრება სატენდერო პირობებით. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციის თანხმობა არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ პროცედურას. ქვეკონტრაქტორის შეცვლის ან/და დამატების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეფასდეს შეთავაზებული ქვეკონტრაქტორის შესაბამისობა სატენდერო დოკუმენტაციით მის მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, ის საკვალიფიკაციო რესურსი და გამოცდილების, რომელსაც ეკონომიკური ოპერატორი ქვეკონტრაქტორის მეშვეობით იყენებს.

ქვეკონტრაქტორის შეცვლა ან/და დამატება დაუშვებელია, თუ შეთავაზებული ქვეკონტრაქტორი ვერ აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით ქვეკონტრაქტორის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული შეზღუდვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც თავდაპირველი ქვეკონტრაქტორის რესურსი გამოყენებული იყო ეკონომიკური ოპერატორის გამოცდილების შესაბამისობის დასადასტურებლად. თუ ეკონომიკური ოპერატორის კვალიფიკაციის შესაბამისობა, სრულად ან ნაწილობრივ, დამოკიდებული იყო კონკრეტული ქვეკონტრაქტორის გამოცდილებაზე ან/და პერსონალის კვალიფიკაციაზე, აღნიშნული რესურსი ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე თვითნებურად ვერ შეიცვლება ისეთი რესურსით, რომელიც თავდაპირველ საკვალიფიკაციო საფუძველს ვერ ანაცვლებს. ამასთან, ახალი ქვეკონტრაქტორის შეთავაზებისას უნდა

შემოწმდეს მის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის საფუძვლების არარსებობა.

აქედან გამომდინარე, ქვეკონტრაქტორის ცვლილებისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ორი ურთიერთდაკავშირებული საკითხი:

- აკმაყოფილებს თუ არა ახალი ქვეკონტრაქტორი მის მიმართ სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს;
- შეუძლია თუ არა მას სრულად ჩაანაცვლოს ის კვალიფიკაციის რესურსი, რომელსაც ეკონომიკური ოპერატორი თავდაპირველ ქვეკონტრაქტორზე დაყრდნობით იყენებდა.

შესრულებული ვალდებულების გამოყენება

მიმწოდებლისა და ქვეკონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეფასებისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ორი ურთიერთდამოუკიდებელი სამართლებრივი შემთხვევა, რომელთა განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს ის, ეყრდნობა თუ არა ეკონომიკური ოპერატორი ქვეკონტრაქტორის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას ან/და მისი პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას.

- როდესაც ეკონომიკური ოპერატორი არ ეყრდნობა ქვეკონტრაქტორის საკვალიფიკაციო რესურსს, ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულად მიიჩნევა მხოლოდ ის სახელშეკრულებო ვალდებულება, რომელიც ფაქტობრივად და უშუალოდ თავად ქვეკონტრაქტორმა შეასრულა. ამასთან, ძირითადი ეკონომიკური ოპერატორის მიერ შესრულებულად მიიჩნევა ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული ვალდებულებები მთლიანად, მიუხედავად იმისა, კონკრეტული ვალდებულების შესრულებაში ქვეკონტრაქტორი მონაწილეობდა თუ არა. აღნიშნული მიდგომა გამომდინარეობს იქიდან, რომ ასეთ შემთხვევაში ქვეკონტრაქტორის გამოცდილება და კვალიფიკაცია არ გამოიყენება ეკონომიკური ოპერატორის კვალიფიკაციის დასადასტურებლად;
- როდესაც ეკონომიკური ოპერატორი ეყრდნობა ქვეკონტრაქტორის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას ან/და მისი პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას, განსხვავებული სამართლებრივი მიდგომა მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულად მიიჩნევა მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც უშუალოდ ქვეკონტრაქტორმა ფაქტობრივად შეასრულა. შესაბამისად, ქვეკონტრაქტორის გამოცდილებისა და კვალიფიკაციის გამოყენება ვერ გავრცელდება იმ სამუშაოზე ან/და მომსახურებაზე, რომლის შესრულებაშიც ქვეკონტრაქტორს რეალური მონაწილეობა არ მიუღია. ამავე დროს, ძირითადი ეკონომიკური ოპერატორის მიერ შესრულებულად მიიჩნევა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ შესრულებული სახელშეკრულებო ვალდებულებები.